ხაშურის მოამბე

№29 (2780) 18 ნოემბერი, ოთხშაბათი, 2020 წელი

21 ნოემბერს არჩევნების მეორე ტურია

შაბათს, 21 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის არჩევნების მეორე ტურია. როგორც ცნობილია, ხაშურის ,ქარელისა და გორის სოფლების მაჟორიტარულ ოლქში გამარჯვებისათვის 17 კანდიდატი იბრძოდა. გამარჯვებისათვის საჭირო იყო ხმების 50 % დაგროვება პლუს ერთი ხმით. არჩევნების პირველმა ტურმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. არსებული კანონმდებლობით, მეორე ტურში, ორი კანდიდატი იბრძოლებს. პარტია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" კანდიდატი ზაალ (ზაზა) დუგლაძე (№41 პირველ ტურში მიიღო ხმების 49, 34 პროცენტი) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (გაერთიანებული ოპოზიცია "ძალა ერთობაშია") კანდიდატი ნატო ჩხეიძე (№5, პირველ ტურში მიიღო ხმების 29, 62 პროცენტი).

არჩევნების მეორე ტური გამოავლენს ვინ იქნება ხაშურის, ქარელის და გორის სოფლების ამომრჩეველთა ხმა საქართველოს პარლამენტში, ამიტომ მოგიწოდებთ ყველას, მოიხადეთ თქვენი სამოქალაქო ვალი, იყავით აქტიურები, მიდით საარჩევნო უბნებზე და შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი კანდიდატურა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის, გიორგი გურასპაშვილის განცხადება

მოგესალმებით, მეგობრებო!

მინდა, გაცნობოთ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შესახებ.

სუბიექტური გარემოებების გათვალისწინებით, ვტოვებ ხაშურის მერის თანამდებობას, რადგან მიმაჩნია, რომ ცხოვრების ამ ეტაპზე, ეს ყველაზე სწორი და დროული ნაბიჯია.

აქვე, ვისარგებლებ შემთხვევით და პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ამომრჩეველს - ჩემს ხაშურელებს გამოჩენილი ნდობისთვის, ასევე, ჩემს თანამშრომლებს, ვისთან ერთადაც ჩვენი ქალაქისთვის არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელე. დარწმუნებული ვარ, ისინი ახლა უკვე ჩემს გარეშე განაგრძობენ ჩვენი ქალაქის განვითარებაზე ზრუნვას.

ამასთანავე, ყოველგვარი პოლიტიკური სპეკულაციების თავიდან ასარიდებლად, ხაზგასმით ვაცხადებ, რომ, რა თქმა უნდა, ვრჩები „ქართული ოცნების" პოლიტიკური გუნდის წევრად და ვაგრძელებ ჩვენი პარტიის წარმომადგენლებთან როგორც საქმიან, ისე მეგობრულ ურთიერთობას. მტკიცედ მჯერა, რომ ჩვენი პოლიტიკური გუნდი არჩევნების მეორე ტურში დამაჯერებლად გაიმარჯვებს და ქართველი ხალხის გადაწყვეტილებით, სწორედ „ქართული ოცნება" იქნება მმართველი ძალა მომავალი 4 წლის განმავლობაშიც!

პატივისცემით,

გიორგი გურასპაშვილი,

12 ნოემბერი, 2020 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის გადადგომა ცნობად მიიღო ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ. არსებული კანონის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შესრულება დაევალა მერის პირველ მოადგილეს ზვიად ქურდაძეს.

ზვიად ქურდაძე

დაიბადა 1977 წლის 9 სექტემბერს. დაამთავრა ხაშურის II საჯარო სკოლა, შემდეგ კი გორის სასწავლო უნივერსიტეტი(ეკონომისტი, ბუღალტრული აღრიცხვა, ეკონომიკური ანალიზი, აუდიტი, მაგისტრი).

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1998 წლიდან ხაშურის რაიონულ საგადასახადო ინსპექციაში გადასახადების ამკრეფად. შემდეგ წლებში იყო საგადასახადო ინსპექტორი, გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს ხაშურის განყოფილების უფროსი და კონტროლის განყოფილების მთავარი ინსპექტორი.

2010-დან 2017 წლამდე იყო ჯერ შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონული ცენტრის მთავარი ოფიცერი, შემდეგ კი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების სამხარეო სამმართველოს მთავარი ოფიცერი.

2017 წლის დეკემბრიდან ასრულებდა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის მოვალეობას.

ჰყავს მეუღმე და ორი შვილი.

ცვლილებები პროგრამაში „აწარმოე საქართველოში"

გახანგრძლივდება სახელმწიფო პროგრამის „თანადაფინანსების მექანიზმი მცირე, საშუალო და საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობისათვის" ვადა, რათა უფრო მეტმა მეწარმემ შეძლოს მასში მონაწილეობის მიღება. ასევე ცვლილების თანახმად დაშვებული იქნება შერეული მიზნობრიობით გაცემული სესხების სუბსიდირებაც, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის დაფინანსების მიმღებთა ოდენობას.

ღონისძიებების ორგანიზების სფეროში

მოქმედი მეწარმეები სახელმწიფოსგან სესხის თანადაფინანსებას მიიღებენ

სასტუმროების მხარდაჭერის პროგრამით, დღეის მდგომარეობით, უკვე დაფინანსდა 1 873 პროექტი (1 339 უნიკალური სესხი) . დაფინანსების მოცულობა შეადგენს 24 759 697 ლარს.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ცვლილება შედის სახელმწიფო პროგრამაში „საკრედიტო საგარანტიო სქემა" - იზრდება პროგრამის სამიზნე ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალი. აღსანიშნავია, რომ პანდემიის ეკონომიკაზე გავლენის გათვალისწინებით, სამიზნე მიმართულებებს დაემატება ბიზნეს და სავაჭრო ღონისძიების, შეკრებების და კონფერენციების მიმართულებები, ასევე ყინულის წარმოება.

ასევე, საკრედიტო გარანტია უკვე შესაძლოა გაიცეს ისეთ ეკონომიკურ საქმიანობების ფარგლებში აღებულ სესხებზე, როგორებიცაა: ყურძნის მოყვანა, ტროპიკული და სუბტროპიკული ხილის მოყვანა, ციტრუსების მოყვანა, ზეთოვანი, თესლოვანი და კურკოვანი ხილის მოყვანა, კულტურების მოყვანა სასმელების წარმოებისათვის, სანელებლების, არომატული და ფარმაცევტული კულტურების და სხვა მრავალწლოვანი კულტურების მოყვანა.

პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში, მეწარმეთა ფინანსებზე ხელმისაწვდომობისთვის, ინდუსტრიულ ნაწილში აქამდე არსებულ მიმართულებებს ემატება კვლევები და ექსპერიმენტული დამუშავებები, ფიზიკური, ქიმიური და სხვა ანალიზური გამოცდების ჩატარება და ა.შ.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ №21,22,23,24,25,26,27,28)

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

ს. მესხი სურამის ქედს თვლიდა მთავარ დაბრკოლებად სარკინიგზო მიმოსვლისათვის და იქვე მიუთითებდა: „მაგრამ ეს ისეთი დაბრკოლება არ არის, რომ ამის მოსპობა არ შეიძლებოდეს, ამაზე უარესი, უაღმართესი და უძნელესი გზა გვინახავს, რომ მთელი წლის განმავლობაში ჩინებულად დადიოდნენ მოგზაურებიცა და საქონელიც დაუბრკოლებლივ გადაჰქონდათ”.

მთელ რიგ დაბრკოლებებთან ერთად, სურამის უღელტეხილს გააჩნდა ის თავისებურებაც, რომ მატარებლებს აქ მხოლოდ დღისით უნდა ემოძრავათ სამვაგონიანი შემადგენლობით და სიჩქარე საათში 12 ვერსს არ უნდა აღმატებოდა. ამიტომ უღელტეხილზე გადასვლისათვის წინა სადგურში მატარებელი ხელმეორედ უნდა შეედგინათ და ასე ნაწილ-ნაწილ გადაეტანათ იგი. ეს აძნელებდა მოძრაობას, მკვეთრად ამცირებდა ტვირთბრუნვას.

რკინიგზის მიმოსვლისათვის რთული ვითარება იქმნებოდა ზამთრის პერიოდში. მაგალითად,1880 წლის იანვარში რამდენიმე დღე იყო შეჩერებული მატარებლების მოძრაობა უღელტეხილზე. „მესამე დღეა,– წერდა 16 იანვარს ხაშურიდან კორესპონდენტი გაზეთ „დროებას”,– რაც თოვლმა გზა შეჰკრა ბეჟთაუბანსა და ხაშურს შუა. ნურვინ იფიქრებს, რომ პოეზდმა გაიაროს ეს გზა, მანამ ქარი არ ჩადგება. აქ, ამ ადგილებში, ქარს უჭირავს პირველი ადგილი,იმის ნებაა,როცა სურს,მაშინ მისცემს გზას ორთქლით მატარებელს. ხუთასი მუშა დგას დღე და ღამე და სწმინდავს გზას.

მაგრამ ის დალოცვილი ქარი მზამზარეულ გაწმენდილ გზაზედ წამოუხვევს რაც მაღლა მთებში თოვლია და ჩამოჰყრის.

რა ჰქმნას კაცმა? წმინდამენ და სწმინდამენ საწყალი მუშები გზას, თითქო ქარს ეუბნებიან: „უბერე რამდენიც გინდა, ჩვენ მაინც ვიმუშავებთ, მანამ არ დაიღლები”.

დაბინდდება თუ არა, მუშები მიდიან შინ და ამათ ადგილას სხვები დგებიან. უფრო უარესი, უფრო უარესი სიცივე და ქარიშხალი...

დღეს ასე ვართ ჩაბოჭილი თოვლისაგან და ქარისაგან ხაშურსა და ბეჟთაუბანს შუა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: საქმე იმაშია, რომ კიდობანში პური აღარ გვიძევს, ფეხი ვერ გაგვიდგამს, თოვლში დახრჩობის გვეშინიან და თუ ორმა დღემ კიდევ გასტანა ასრე თქვენი მტერი იყვეს...”

თუ რამდენად მძიმე იყო სურამის უღელტეხილზე დიდთოვლობა რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთათვის, მოვიტანთ კიდევ ერთ ცნობას. იმავე წლის 29 თებერვალს, საღამოს „...ამოვარდა საშინელი ქარ-ბუქი თოვლით დასავლეთის მხრიდამ და, რასაკვირველია, იმ დროსვე შეჰკრა გზა სურამის ქედზედ.

გუშინ ქარბუქმა პირი იბრუნა. აღმოსავლეთით დაიწყო ქროლა. ამისთანა ქარი არსად არ მინახავს. ხნიანებიც კი ამბობენ, მისთანა ქარი არ გვინახავსო. მეზობლის სახლს ვეღარ ვხედავდით, მისვლა კი მეზობელთან შეუძლებელი იყო. თუ რომ გაივლიდით ოციოდე ნაბიჯს, უთოოდ წაიქცეოდით, თვალების გახელვა შეუძლებელი იყო, — იმ წამსვე ამოგევსებოდათ ქვიშისაებ სუსხიან თოვლით.

გუშინწინდელი მოსული პასაჟირები აქ მოენწყვდნენ, ზოგი კი ისევ უკან გაბრუნდა. დღეს დილით რამდენიმე პასაჟირი გაუდგა გზას, მოინდომეს ბეჟთაუბნამდინ ფეხით გადასვლა, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ძალიან მოიქანცებიან. მოგეხსენებათ თოვლში სიარული რა ადვილია, მერე თუ იმ სიმაღლეა როგორც სურამის ქედზედ, სადაც ეხლა ორი-სამი არშინის ნაკლები აღარ არის...

ძნელათ, რომ ამ სამ დღეში გადავიდეს პოეზდი სურამის ქედზედ. სულ ცოტა ორი დღე და ღამე მაინც უნდა წმინდონ, რომ გაწმინდონ ის გზა. ეხლაა ძალიან ძნელი ამ გზის გაწმენდა.

დღევანდელი ამ გზის მდგომარეობა ნამდვილად მიემსგავსება 1875 წლის ზამთრის გზის მდგომარეობას, თუმცა ის ზამთარი ასრე სუსხიანი არ იყო.

მაშინ, როგორც ეხლა, რამდენჯერმე მოვიდა დიდი თოვლი და, რასაკვირველია, ყოველს მოსვლაზედ სწმინდავდნენ გზას. ბოლოს ერთი კიდევ რომ მოვიდა, სწორედ შვიდი დღე და ღამე სწმინდეს გზა, ისეთი ძნელი გასაწმენდი იყო...

მაშინ, როგორც ეხლა, რამდენჯერმე მოვიდა დიდი თოვლი და, რასაკვირველია, ყოველს მოსვლაზედ სწმინდავდნენ გზას. ბოლოს ერთი კიდევ რომ მოვიდა, სწორედ შვიდი დღე და ღამე სწმინდეს გზა, ისეთი ძნელი გასაწმენდი იყო...

სურამის ქედზედ რომ სწმინდავენ გზას, თოვლს იქვე ახლოს აქეთ-იქით გვერდებზე ჰყრიან და, რასაკვირველია, რამდენიც თოვლი ემატება და სწმინდავენ გზას, იმდენი ეს თოვლის კედლები გზის ორთავ მხარეს იზდებიან. თოვლის გადაყრა შეუძლებელია, რადგანაც მთები უშლიან. ბოლოს, თუ კიდევ მოვიდა თოვლი, როგორც ეხლა, ამოივსება გზა თოვლით და ის კედლები, რომლების სიმაღლე ორი-სამი საჟენი არის, სულ თავამდინ გასწორდებიან. ძალიან გასაჭირია იმ თოვლის გაწმენდა, რადგანაც ალაგი აღარ არის, რომ გადაყარონ. ამისათვის ხმარობენ სხვა საშუალებას: ჩვენებური პატარა მარხილებით ზიდავენ თოვლს კარგა შორს მანძილზედ და ხევებში ჰყრიან.

სწორედ ასრე სწმინდავდნენ ამ ხუთი წლის წინათაც, როდესაც მატარებელმა ვერ გადაიარა ქედი.”

ასეთი ვითარება დღის წესრიგში აყენებდა გვირაბის მშენებლობის აუცილებლობას. ეს საკითხი ჯერ კიდევ ფოთი-თბილისის რკინიგზის გახსნისთანავე დაისვა. დაიწყო გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოებიც, მაგრამ გვირაბის აუცილებლობა უფრო მწვავედ ბაქო-თბილისის სარკინიგზო ხაზის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, 1883 წლიდან დადგა დღის წესრიგში. ამ დროის მთელ ამიერკავკასიის რკინიგზაზე საქონელ–ბრუნვის 2/3 უკვე ნავთობი შეადგენდა, რომლის ამოღებაც დღითიდღე იზრდებოდა. დაგეგმილი 4-6 მატარებლისა, ნავთობის გადაზიდვაზე მუშაობდა 15 წყვილი მატარებელი, თითოეული 40-50 ცისტერნით. ამას ემატებოდა მზარდი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ამიერკავკასიის ცალკეულ მხარეებს შორის, რაც სწორედ სარკინიგზო მშენებლობასთან იყო დაკავშირებული.

თუ რამდენათ სწრაფად იზრდებოდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე ტვირთ ბრუნვა, კარგად ჩანს ამ გზის ერთი მონაკვეთის – ფოთი – თბილისის მაგალითიდანაც. 1874 წელს ფოთი – თბილისის რკინიგზით გადატანილ იქნა 2755552 ფუთი შავი ტვირთი, 1883 წელს ტვირთბრუნვამ 27644254 ფუთი შეადგინა. 1887 წელს გაიზარდა 60989611 ფუთამდე, ხოლო საუკუნის ბოლოს ტვირთბრუნვამ 100 მილიონ ფუთს გადააჭარბა.

ასეთ ვითარებაში გადაულახავ ზღუდედ რჩებოდა სურამის უღელტეხილი, რომელიც საგრძნობლად ამცირებდა ტვირთბრუნვას.

XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისათვის, ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოების გამგეობის მიერ, სურამის გვირაბის მშენებლობის სამი პროექტი დამუშავდა და 1883 წლის 10 აგვისტოს წარედგინა ტექნიკურ-საინსპექტორო კომიტეტს. პირველი პროექტით სარკინიგზო ხაზი უნდა გასულიყო შემდეგი მიმართულებით: მოლითი-წიფა-ჩუმათელეთი-სურამი-მიხაილოვო, მეორე პროექტით: მოლითი-წიფა-გუდათუბანი-ბულბულისციხე-ტეზერი-მიხაილოვო, ხოლო მესამე პროექტით: მოლითი-წიფა-ბეღლეთი-ტეზერი-მიხაილოვო.

მრავალი დამატებისა და შესწორების შედეგად, 1886 წლის 9 ივლისს, დამტკიცებული იქნა ზემოაღნიშნული პროექტებიდან მესამე ვარიანტი.

უკვე 20 ივლისს გაზეთი „ივერია” თავის მკითხველს აუწყებდა, რომ „სურამის უღელტეხილზე გვირაბის გაყვანის საქმეს უკვე იწყობენ. 14 ივლისს ტფილისიდან წასულან ინჟინრები ბისსე, რუინა და სალინა, რომელნიც ბეჟთაუბნის რკინის გზის სადგურიდამ დაიწყებენ მუშაობას და მეორე დასი ინჟინრებისა – კი, რომელნიც ამ დღეებში აპირებენ წასვლას და რომელშიც არიან ინჟინრები დარაგანა, კამბიაჯო, სევილლერა და პეტრესოვი, ხაშურის რკინის გზის სტანციიდამაო.”7

ცოტა მოგვიანებით, 10 სექტემბერს, გაზეთი კვლავ დაუბრუნდა გვირაბის მშენებლობის დაწყების საკითხს და წერდა: „სურამის გვირაბის გაკეთებას უკვე შესდგომიან. ამ საქმისათვის დანიშნული ინჟინრები ჩამოვიდნენ ტფილისში და თავის კანტორა ვერაზე გამართესო. მალე გააკეთებენ სამეხანიკო სახელოსნოებს სურამის უღელტეხილის ორთავე მხარეზეო, ყველა საჭირო კაცი, ვინც – კი საქმეში იქმნებიან, პეტერბურგშივე შეუკრებიათ და ერთი ნაწილი მათი უკვე ჩამოვიდა ტფილისა.”

მშენებლობის უფროსად დაინიშნა პოლონელი ინჟინერი ფერდინანდ რიძევსკი.

ჯერჯერობით მხოლოდ მშენებლობის დაწყებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობდა, მაგრამ ხაშურ-სურამისაკენ სხვადასხვა კუთხიდან მუშაობის დიდძალი მსურველები დაიძრნენ. „ივერია”, გაზეთ „ნოვოე ობოზრონიეზე” დაყრდნობით, 15 ნოემბერს წერდა: „...დიდძალი ხალხი მოდის ამჟამად ტფილისიდამ და ქვეით ქვეყნებიდამ იმ იმედით, რომ აქ სამუშაოს ვიშოვით, რადგან გვირაბის გასაყვანად იქ დიდი მუშაობაა დაწყობილიო”.

ამავე დროს, ხალხში გვირაბის გაყვანასთან დაკავშირებით სხვადასხვა ხმები ვრცელდებოდა. ეს ფაქტიც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი დიდი ინტერესით ელოდნენ მუშაობის დაწყებას. იმ დროს, სურამის გვირაბის მშენებლობის პროექტი ყველა მხრიდან ყურადღებას იპყრობდა, რადგან ჯერჯერობით ასეთი გრანდიოზული მშენებლობა მსოფლიოში არსად არ იყო განხორციელებული. 23 დეკემბერს, გაზეთი „ივერია” ხალხში გავრცელებული ხმების შესახებ აღნიშნავდა:

„სურამის უღელტეხილის გვირაბის გაყვანის თაობაზე ბევრი არა დასაჯერებელი ხმებია გავრცელებული ხალხში. ერთი ამბობს, რომ ამ გვირაბის გაკეთებას ვითომც თავს ანებებენ და ისევ ძველის გზის გადაკეთებას აპირებენო. მეორე ლაპარაკობს, გვირაბი უთუოდ უნდა გაკეთდეს, მხოლოდ ამისთვის სხვა ადგილი უნდა ამოირჩიონო. ეხლანდელი ადგილი ს. ბეღლითს და წიფას შუა სულ რბილი მიწა გამომდგარაო. ჩვენ კი რამოდენადაც ვიცით და საქმით ვხედავთ, ეს სრულებით ტყუილი ხმები უნდა იყოს. ხაშურსა და ბეღლითს შუა გაცხარებული მუშაობენ; ხაშურიდგან ახალი რკინის გზა, სიგრძით სამს ვერსამდინ, უკვე მზად არის. გვირაბის დასავლეთით, ს. წიფაშიც ძრიელ გახურებული მუშაობაა. აქ შენდება ხუთი, ექვსი დიდი სადგომი, სახლი მათ შორის უკვე ორი მზად არის...”

გატარებული მოსამზადებელი სამუშაოების დასრულებისთანავე, 31 დეკემბერს, უკვე უშუალოდ დაიწყეს გვირაბის მშენებლობა.

გვირაბს ერთდროულად ორივე მხრიდან ჭრიდნენ, სამუშაოები „თავდაპირველად სრულდებოდა ხელით. მხოლოდ 1887 წლის ზაფხულიდან იქნა გამოყენებული ბრანდტის სისტემის ჰიდრავლიკური ბურღის მანქანები.

გვირაბის გაჭრაზე მუშაობდა სხვადასხვა ეროვნების (იტალიელი, გერმანელი, რუსი, ოსი, ლეკი, თათარი, ქართველი და სხვა) 2000-მდე მუშა, მათ შორის იყვნენ ახლო-მახლო სოფლებიდან მოსული გლეხობაც.

სამუშაო მიმდინარეობდა დღეცა და ღამეც, ორ ცვლად.

მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშებს მუშაობა, გვირაბში სიცხე 50 გრადუსს აღწევდა, ქანებიდან მოდიოდა გრუნტის წყალი.

იმდროინდელმა პრესამ გვირაბის მშენებლობაზე მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის არაერთი სურათი შემოინახა. თითქმის ისე არ გავიდოდა დღე, კვირა და თვე აქ რაიმე უბედური შემთხვევა არ მომხდარიყო. 1887 წლის 30 ივნისს, საღამოს შვიდ საათზე, გვირაბში ხანძარი გაჩნდა და რვა კაცი ძლივს გადარჩენილა დაწვისაგან. ამასთან დაკავშირებით, 4 ვლისს, გაზეთი „ივერია” შემდეგს წერდა: „უფრო საშიშ ადგილას მოეტანა სამი კაცი, ორი იტალიელი და ერთი მეგრელი ბიჭი, რომელიც მაშინაზედ მუშაობდა. ცეცხლი თვითონ სათხრელ მაშინას გაუჩნდა სწორეთ იმ დროს, როდესაც ნათხარ კედლითგან ნავთის ფერმა წყალმა გამოხეთქა... ზემოთხსენებული მეგრელი ბიჭის ამბავი გამოიტანეს გვირაბიდამ, რომ საწყალი ლაზარე დაიწვაო. მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ ლაზარეც გამოვიდა ძრიელ შეშინებული და თმა და წვერ შეხრუკული ცეცხლის ალისაგან. მართლაც და დაიწვებოდა ეს ბიჭი, რომ ხამი ყოფილიყო ამ საქმეში. მას ნოკოროსიაშიც უმუშავნია თხრილებში... ნახევარ საათის განმავლობაში მაშინას ცეცხლი ედებოდა, ბოლოს ზევიდგან მიწა ჩამოზვავდა და გააქრო. კედლები ისე გახურებულიყო, როგორც კეცი.”

იმავე წლის აგვისტოში გვირაბში მომხდარი შემთხვევა ერთ-ერთი მუშის სიკვდილით დამთავრებულა: „სურამის უღელტეხილის გვირაბში დინამიტის აფეთქებაზე დაჭრილა ერთი მუშაკაცი და მაშინადვე გარდაიცვალა” – ნათქვამია გაზეთ „ივერიაში”.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

- ფასიანი პოლიტიკური რეკლამა -

„ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი...“

ზაალ (ზაზა) დიმიტრის ძე დუგლაძე დაიბადა 1971 წელს ხაშურში, დიმიტრი დუგლაძის და მანანა ჩოჩიშვილი-დუგლაძის მრავალშვილიან ოჯახში. დაამთავრა თბილისის აგრარული უნივერსიტეტი, ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით. 1996 წელს მუშაობა დაიწყო სს „ვაზიანში“ ტექნოლოგად. 2000 წლიდან 2011 წლამდე ეკავა წარმოების უფროსის თანამდებობა. 2004 წელს დაარსა შპს „დუგლაძეების ღვინის კომპანია“ და 2012 წლიდან დღემდე მისი გენერალური დირექტორია.

როგორი იყო მისი ბავშვობა?... გაიზარდა საკმაოდ მკაცრი მორალური და ზნეობრივი კანონებით, უყვარდა შრომა, არასოდეს დაუხევია უკან უსამართლობაზე, კაცთმოყვარეობა და სტუმართმოყვარეობა გახლდათ მისი ოჯახის სავიზიტო ბარათი. საქართველოში დედა არის ყველა სიწმინდის, სიკეთის, ყველაფერ კარგის და ლამაზის დამტევი სიტყვა. ასე იყო ბატონი ზაალის ცხოვრებაშიც, ქალბატონი მანანას სამშვენისი მისი შვილები იყო, ქმნიდა ოჯახში თბილ გარემოს და სიმყუდროვეს. 18 წლის ასაკში ზაალმა დაკარგა ცხოვრების ყველაზე ძვირფასი ადამიანი. მწუხარების გადატანას ბავშვები იმ ადამიანებისგან სწავლობენ, რომლებიც მათზე ზრუნავენ. მამა იყო ზაალის ოჯახის ძლიერი გამაერთიანებელი, რომელმაც თავის თავზე წარმოუდგენლად დიდი სატკივარი აიღო, ის იყო მისი დიდი მეგობარიც და მესაიდუმლეც. 30 წლისამ ეს იმედიც დაკარგა და ასე ცხოვრობს თავისი ტკივილიანი მოგონებებით. სიჭაბუკისა და სტუდენტობის პერიოდში მისდევდა სპორტს, დაკავებული იყო ჭიდაობით და სათხილამურო სპორტით. არის მრავალი ტურნირის გამარჯვებული და პრიოზიორი.

როგორც გალაკტიონ ტაბიძე ამბობს „თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ“, ბატონ ზაალს ეს დიადი გრძნობა 29 წლის ასაკში ეწვია. ვინ არის მისი რჩეული?... სიფრიფანა, მშვენიერი ქალბატონი, რომლის მოკრძალებამ და დახვეწილმა მანერებმა არ შეიძლება აღფრთოვანებული არ დაგტოვოს. ქალბატონი ეკა კოტარია, პროფესიით იურისტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, აკადემიკოს ნიკო კეცხოველის შვილთაშვილია. მომავალი მეუღლე ჯერ კიდევ სკოლის ასაკში გაიცნო. როგორც ნოდარ დუმბაძე ამბობს „სიყვარული ეს ნიჭია, რომელიც ღმერთმა ადამიანს უბოძა“, ბატონი ზაალი ამ ნიჭითაც უხვადაა დაჯილდოებული, მათ ოჯახში სიყვარულის მარადიული დღესასწაულია. ამ დღესასწაულს სხვა მონაწილეებიც ჰყავს და ესენი მათი შვილებია, „ორი ბრილიანტი“, როგოც მათ ზაალი ეძახის, მარიამი და ლიზიკო. მარიამი პროფესიას ლონდონში ეუფლება, ლიზიკო სკოლის მოსწავლეა და მომავალ პროფესიაზე ჯერ კიდევ ფიქრობს. შვილები ჯანსაღი ცხოვრების წესს იცავენ, უყვართ ჩოგბურთი და სამთო-სათხილამურო სპორტი.

რა არის დუგლაძეების ოჯახის კიდევ ერთი მახასიათებელი?.. დედმამიშვილობის - ღვთისგან ბოძებული დიდი მადლი, სიყვარული, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი წაშლის, ურთიერთპატივისცემითაა გაჯერებული მათი თითოეული სიტყვა, ისინი დიდი მეგობრებიც არიან.

ზაალ დუგლაძე პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გუნდმა ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარადგინა, ეს არის მისადმი გამოცხადებული უდიდესი ნდობა. არჩევნების II ტური 21 ნოემბერს გაიმართება.

როგორია ზაალ დუგლაძის საარჩევნო პროგრამა?.. იგი დასაბუთებულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბოლო 8 წლის განმავლობაში განხორციელებული დადებითი ძვრებით და გაჯერებულია რეალური ციფრობრივი მონაცემებით. ზაალი გახსნილია ყველა ამომრჩეველთან დიალოგისთვის. მისი ურთიერთობა ხაშურისა და ქარელის მოსახლეობასთან ორიენტირებულია ურთიერთპატივისცემასა და მაღალ ნდობაზე.

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს კანდიდატი თავის ამომრჩევლებს, ამ მუნიციპალიტეტების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სთავაზობს სამომავლო გეგმებს და თანადგომას, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის განვითარებასა და დასაქმებაზე. როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობს: „ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი...“ და იგი მზადაა გაიღოს ეს მსხვერპლი.

როგორია მისი პოლიტიკური მესიჯები:

- განათლება და ეკონომიკური კეთილდღეობა, რადგან სწორედ ეს იქნება ქართული ოცნების სამოქმედო გეგმა და მიზანი მომდევნო წლების განმავლობაში;
- მუნიციპალიტეტებში, რომლებშიც წამყვანი ეკონომიკური მიმართულება აგროსექტორია, არ შეიძლება ამ სექტორზე ორიენტირებული პროფესიული სასწავლებლები არ იყოს, ბაზრის კვლევისა და მოთხოვნების შესაბამისად. მოხდება ინკლუზიური განათლების და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- საკანონმდებლო ორგანოში დააყენებს საკითხს ქვეყანაში დამატებითი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოყვანის აუცილებლობასა და რეგიონებში სამართლიანად გადანაწილების თაობაზე;
- საკანონმდებლო ორგანოში დააყენებს საკითხს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ბიუჯეტის გაზრდის თაობაზე, რათა მოხდეს სოფლებში ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებებლი და საკონსერვო წარმოების აღდგენა და სოფლად სამუშაო ადგილების შექმნა, რადგან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დასაქმების საკითხი;
- საქართველოს მთავრობამ დეცენტრალიზაციის ახალ სტრატეგიაზე მუშაობა დიდი ხანია დაიწყო და ეს პროცესი 2025 წლისთვის დასრულდება. ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება ქვეყნის გაძლიერების საფუძველია. აუცილებელია ახალი პოტენციალის დანახვა, ადგილობრივი მოსახლეობისთვის პერსპექტივის გაჩენა ადგილებზე;
- უნდა მოხდეს მიტოვებული სივრცეების ათვისება, სტარტაპების წახალისება და ინვესტორების მოზიდვა, რაც შექმნის ახალი სამუშაო ადგილებსა და ქალაქების ბიუჯეტისთვის

დამატებითი შემოსავლის წყაროც იქნება;

- მეტი დატვირთვით უნდა იფუქციონიროს მუზეუმებმა, უნდა შეიქმნას საგამოფენო სივრცეები და გაიხსნას კინოთეატრები;
- ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს სავალი გზის პრობლემა და ეს საარჩევნო დაპირების ნაწილი არ უნდა იყოს.
- ოჯახური ძალადობა ერთ-ერთი მწვავე პრობლემა, სადაც მსხვერპლთა უმრავლესობა ქალია. უნდა შეწყდეს გოგონების მკვლელობები, უნდა მოხდეს ქალთა უფლებების მეტად დაცვა, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში შესვლის შემდეგ ვიქნები ის დეპუტატი, რომელიც აქტიურად მოახდენს ამ პრობლემაზე მსჯელობას;
- უნდა შემუშავდეს ხაშურის და ქარელის რაიონების ტურისტული პოტენციალის უკეთ ათვისების სტრატეგია;
- უნდა ავამუშავოთ ბავშვების დასვენების პროგრამა საკურორტო-გამაჯანსაღებელ საზაფხულო ბანაკებში-სურამში;
- აუცილებლად მოხდება მასობრივი სპორტის განვითარება, სპორტული კლუბების ჩამოყალიბება, სასკოლო და საქალაქო ტურნირების ორგანიზება;
- ისევ ილია ჭავჭავაძეს დავესესხები: „რამდენადაც არ უნდა მოგვწონდეს ახალი თაობა, უნდა ვენდოთ მას, ისინი არიან ჩვენი მომავალნი, არიან ჩვენი დანატოვარი და რარიგ დიდი წარსულიც არ უნდა ჰქონდეს ხალხს, ის მაინც მომავლით უნდა ცხოვრობდეს.“ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენი რაიონის ახალგაზრდობამ არ დატოვოს მშობლიური კერა;

ქართულ ხალხურ პოეზიაში ასეთ ლამაზ სიტყვებს ამოვიკითხავთ:

„ვაზი და ქართველი კაცი
ღმერთს ერთად გაუჩენია,
როცა ერთ მათგანს უჭირდა,
მეორეს გადურჩენია“...

ქართველ კაცს არ შეეძლო ცხოვრება უვაზოდ. მისი ეკონომიური მნიშვნელობა დიდი იყო და არის დღესაც. ზაალ დუგლაძე ის კაცია, რომელიც უვლის და აშენებს ვაზს, რადგან იცის, არ გაუვლია ქართულ მიწაზე უცხოელ მოგზაურს, რომ ქართული ღვინის სიკეთით განცვიფრებულს ქებითა და დიდებით არ მოეხსენებინოს იგი. კაცს, რომელსაც ვაზის მოვლა უყვარს არ შეიძლება ოქროს გული არ ჰქონდეს და ასეა კიდეც, ესაა სიტყვის და საქმის კაცი, გამოცდილი, დინჯი და მომავლის დიდი რწმენით სავსე. იგი თავისი ცოდნით, ღირსებით და დიდი გეგმებით დგას ამომრჩევლების წინაშე და სურს გაუძღვეს უკეთესი ცხოვრებისა და კეთილდღეობისაკენ. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ჭიდილის ისტორიაში უფრო და უფრო რთული ხდება ამომრჩევლის დარწმუნება ხმების მოსაპოვებლად, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ 21 ნოემბერს ამომრჩეველი მიიღებს გონივრულ გადაწყვეტილებას, მისცეს ზაალ დუგლაძეს პოლიტიკური მანდატი საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შესასვლელად.

ძიუდო

ხაშურმა ევროპას გადაუარა

რა თქმა უნდა, სათაურში გამოტანილი "აზრი" მეტაფორული გამოთქმაა, მაგრამ ვინც ამ დღეებში, 23 წლამდელებში, ძიუდოში, ევროპის ჩემპიონატს ადევნებდა თვალს, დაგვეთანხმება, რომ ამ მეტაფორაში არის სიმართლის მარცვალი. ა, ბატონო, ფაქტიც: საქართველოს ნაკრებში, ამ ჩემპიონატზე, ხაშურის საჭიდაო სკოლის სამი აღზრდილი იღებდა მონაწილეობას. სამი ხაშურელი ევროპის ჩემპიონატზე უკვე, თავისთავად, ბევრის მთქმელია. მართალია, ამ სამიდან ორი, დღეს, სხვა ქალაქის სახელით ასპარეზობდნენ, მაგრამ ეს სრულებითაც არ აკნინებს ჩვენს საჭიდაო სკოლას, სადაც მათ ფეხი აიდგეს და დაოსტატდნენ. ბოლოს და ბოლოს, ისინი ჩვენი თანამოქალაქეები არიან და ამით ყველაფერია ნათქვამი.

დავიწყოთ ლუკა მაისურაძით. ეს ბიჭი, რომელსაც ხაშურის სახელი, უკვე წლებია, გააქვს მსოფლიოში, მართლაც, უდიდესი ტალანტია და ეს ამ ჩემპიონატზეც დაამტკიცა. ნაკრების მწვრთნელების გადაწყვეტილებით, ლუკას წონა შეუცვალეს და თავისი "მშობლიური" 81 კილოგრამიდან 90-ში აწიეს. არც აქ შეირცხვინა თავი ჩვენმა "ოქროს ბიჭმა" და გრიალით გადაუარა ყველას. მხოლოდ ფინალში გვანერვიულა ცოტა, როდესაც რუს მოჭიდავესთან, თავდაპირველად, აგებდა, მაგრამ ბოლო წამებზე ისე დაიპონა მოწინააღმდეგე, რომ რუსი, კარგა ხანი, გონზე ვერ მოვიდა. ლუკა ჩვენი ოლიმპიური იმედია და გვჯერა, იქაც ახალი ტიტულის მფლობელი გახდება.

ტატო გრიგალაშვილი ასევე დიდი მომავლის მქონე მოჭიდავეა. მან ნელ-ნელა დაიმკვიდრა ნაკრებში სახელი და დღეს ევროპის მასშტაბით ანგარიშგასაწევი ძალაა ყველასათვის. ამ ჩემპიონატზე იგი 81 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა და ოქროს მედლითაც დაიმშვენა მკერდი. მისი გამოსვლა ნამდვილი ჩემპიონის დარი იყო და ამაში არც ერთი სპეციალისტისთვის არ გაუჩენია იოტისოდენა ეჭვის საბაბიც კი.

თემურ ნოზაძე 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში იპყრობს ევროპას. მართალია, ამ ჩემპიონატზე, მხოლოდ ფინალში იწვნია დასანანი მარცხი, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი სულაც არაა სახუმარო ამბავი.

ბრავო, ბიჭებო! თქვენი წარმატებებით ძალიან ამაყები ვართ და გვიხარია, რომ ძიუდოს მსოფლიო რუკაზე ხაშურის სახელი დიდი ასოებით ჩაწერეთ. ისიც გვჯერა, თქვენი უფრო დიდი წარმატებები წინაა და თქვენი გამარჯვებებით არა მარტო ჩვენ, არამედ მთელი საქართველო კიდევ ბევრჯერ გაიხარებს.

- ფეხბურთი -

ჩემპიონობა - ზედიზედ მეცხრედ

საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის გელა გელაშვილის და ხაშურის რეგიონის პროფკავშირის გამგეობის წარმომადგენლის მილერ ლომიძის ორგანიზებით, რკინიგზის სამსახურების ხელმძღვანელების პროფკავშირების პირველადი ორგანიზაციების თავმჯდომარეების, სასპორტო სკოლის დირექტორის ივანე ხარაზიშვილის და ამავე სკოლის სპეციალისტის იური ნოზაძის დახმარებით, ამ დღეებში, გაიმართა უკვე ტრადიციად ქცეული საქართველოს ჩემპიონატის რეგიონული ტურნირი მინი-ფეხბურთში. რკინიგზის სამსახურებს შორის ჯგუფური სისტემით გამართულ ტურნირში თითოეულ გუნდს სამი თამაშის ჩატარება მოუწია. ტურნირის ისტორიაში ზედიზედ მეცხრედ გაიმარჯვა უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოს გუნდმა "უღელტეხილმა". მეორე ადგილზე სადგურ ხაშურის, ხოლო მესამეზე-სავაგონო დეპოს გუნდები გავიდნენ. საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით და დიპლომებით. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო: ირაკლი იჩქიტიძე, გიორგი ბაბლიძე, პაპუნა რევაზიშვილი, ანზორ მჭედლიძე, ზაზა ტაბატაძე, ჯაბა ჩადუნელი(გუნდის კაპიტანი), იმედა მეტრეველი, გიორგი ბეროზაშვილი, გიორგი მურჯიკნელი, გიორგი გოგოლაძე.

ვულოცავთ, უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოს ფეხბურთელებს გამარჯვებას და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ სპორტსა და იმ მუხლჩაუხრელ შრომაში, რომელსაც ისინი ეწევიან ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და გაძლიერებისათვის.

იმედა მეტრეველი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი,
რკინიგზის პროფესიული კავშირის უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოს
პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.